N381 2013 წლის 27 დეკემბერი ქ. თბილისი

„საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის რესურსებითა და ქონებით სარგებლობის შემსწავლელი სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 7 დეკემბრის N457 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის რესურსებითა და ქონებით სარგებლობის შემსწავლელი სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 7 დეკემბრის **N457** დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 11/12/2012, 010220020.10.003.017133) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1.

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად და 29-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე,

შეიქმნას საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის რესურსებითა და ქონებით სარგებლობის შემსწავლელი სამთავრობო კომისია (შემდგომში – კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი - კომისიის თავმჯდომარე

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი - კომისიის წევრი

საქართველოს ფინანსთა მინისტრი - კომისიის წევრი

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი - კომისიის წევრი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის მინისტრი - კომისიის წევრი

სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსი - კომისიის წევრი

სს „საპარტნიორო ფონდის“ აღმასრულებელი დირექტორი - კომისიის წევრი

საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე - მოწვეული წევრი

საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე - მოწვეული წევრი

საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე - მოწვეული წევრი.“.

2. დადგენილების მე-3 მუხლით დამტკიცებული „საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის რესურსებითა და ქონებით სარგებლობის შემსწავლელი სამთავრობო კომისიის დებულების“ :

ა) პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის რესურსებითა და ქონებით სარგებლობის შემსწავლელი სამთავრობო კომისია (შემდგომში – კომისია) იქმნება საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის რესურსითა და ქონებით სარგებლობასთან დაკავშირებულ ცალკეულ საკითხთა შესწავლის მიზნით, მათი რაციონალურად გამოყენების უზრუნ-ველსაყოფად.“;

ბ) მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. კომისიის ძირითადი ამოცანები

კომისიის ძირითადი ამოცანებია:

ა) სახელმწიფოს მიერ საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე რესურსის, მათ შორის, სასარგებლო წიაღისეულის, ტყის ფონდის მერქნული რესურსების, მცენარეული არამერქნული რესურსების (მათ შორის, სოჭის გირჩების), ზედაპირული წყლის რესურსებისა და საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სხვა ქონების სარგებლობასთან დაკავშირებულ ამ დებულებით გათვალისწინებულ ცალკეულ საკითხთა შესწავლა;

ბ) საჭიროების შემთხვევაში, წინადადებათა მომზადება შესაბამისი ორგანოების მიერ განკარგული–საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე რესურსის ან სხვა ქონების სარგებლობაში გადაცემის და მასთან დაკავშირებული პირობების კანონმდებლობით დადგენილი წესით გადახედვის მიზნით;

გ) საჭიროების შემთხვევაში წინადადებათა მომზადება ტურისტული და რეკრეაციული მიზნებისათვის სასარგებლო წიაღისეულის-სამკურნალო ტალახის ან/და გარეგანი მოხმარების (სამკურნალო აბაზანები) მიწისქვეშა მინერალური წყლების მოპოვების (მოპოვების, შესწავლა-მოპოვების), ლიცენზიის პირდაპირი წესით გაცემისა და საჭიროების შემთხვევაში, გადასახდელი თანხის თაობაზე;

დ) საჭიროების შემთხვევაში სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების (შესწავლა/მოპოვების) ლიცენზიის მფლობელის დასაბუთებული მოთხოვნის არსებობისას და იმ შემთხვევაში, თუ ლიცენზიის მფლობელისათვის წარმოიქმნა არსებითად განსხვავებული მდგომარეობა, რაც მისთვის წარმოშობს ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ჯამური, წლიური მინიმალური ან/და მაქსიმალური მოცულობის ან ყოველდღიური (დღეღამური) ან სხვაგვარი მოცულობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შეცვლის საჭიროებას, ან ლიცენზიის მფლობელისთვის წარმოშობს სალიცენზიო პირობით დადგენილი სასარგებლო წიაღისეულის შესწავლის ან/და მარაგების დამტკიცების ვადებში ცვლილების შეტანის საჭიროებას, ლიცენზიაში შესაბამისი ცვლილებების შეტანის შესახებ წინადადებათა განხილვა;

ე) საჭიროების შემთხვევაში მშენებლობის, ნაპირფორმირების პროცესების მართვისა და/ან მდინარეთა რეგულირების მიზნით, მშენებლობის პროცესში გამოსაყენებლად, აღნიშნული საქმიანობის განმახორციელებელი პირის მიერ საშენი მასალების სამშენებლო სამუშაოების წარმოების ტერიტორიის ფარგლებს გარეთ მოპოვებაზე ლიცენზიისგან განთავისუფლების საკითხზე წინადადებათა შემუშავება;

ვ) საჭიროების შემთხვევაში საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის რესურსის (ქონების) სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებული დამატებითი მოთხოვნების დადგენის თაობაზე წინადადებათა მომზადება;

ზ) შესწავლილი საკითხებისა და მათი ანალიზის საფუძველზე, შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება, საერთო

სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის რესურსებისა და ქონების რაციო-ნალურად გამოყენების მიზნით.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**